ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. დეკემბრის 31. № 34 ტფილისი

შინაარსი

მრეწველობა.

198. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის ნებადართვის შესახებ—მოაწყოს ქ. ჯულელში სამრეწველო კომბინატი.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

199. მევირეობისა და მეჯორეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

ვეტერინარია.

200. საქართველოს სსრ-ში 1926 წლისთვის ზოოვეტერინარული ქსელის გეგმის დამტკიცების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

201. 1936 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმის შესახებ.

ტრანსპორტი.

202. „საქავტოტრესტის" ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ხელბარგის გადაზიდვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

203. დაწესებულებების, წამოწყებებსა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებისათვის სახლების განკუთვნის წესის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა.

204. „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანკვეთო დაზღვევის თაობაზე" გამოცემული დადგენილების 33 მუხლის გაუქმების შესახებ.

ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა.

205. „გვარისა და სახელის გამოცვლის თაობაზე" გამოცემული დადგენილების (საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 122 მუხლის დანართი) მე-2, 5, 6, 7 და 9 მუხლების შეცვლის შესახებ.

განათლება.

206. ქ. მოსკოვში საქართველოს ხელოვნების დეკადის ჩატარებაში მონაწილეთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

სახამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

207. იმ დოკუმენტების თაობაზე გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილების „ა" კარის 30 პუნქტის შეცვლის შესახებ, რომელი დოკუმენტებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობა

198. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის ნებადართვის შესახებ—მოაწყოს ქ. ჯუღელში სამრეწველო კომბინატი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას საქართველოს სსრ ადგლობრივი მრეწველობის სახალხო კომასარიატს—მოაწყოს ქ. ჯუღელში ჯუღელის სამრეწველო კომბინატი (ტრესტის უფლებებით), რომელსაც გადაეცეს შემდეგი წამოწყებანი:

1) კონიაკისა და ლიქიორის ქარხანა;

2) აგურის ქარხანა;

3) ლიმონადისა და ყინულსაკეთებელი ქარხანა;

4) სამჭედლო სახელოსნო.

2. საწესდებო კაპიტალის საორიენტირო რაოდენობა განისაზღვროს ამ წამოწყებათა საპროექტო ბალანსის მიხედვით 1.860.000 მან. თანხად.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—დაამტკიცოს ჯუღელის სამრეწველო, კომბინატის წესდება და აგრეთვე არა უგვიანეს 1937 წ. თებერვლის 1-ისა დააზუსტოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საწესდებო კაპიტალის რაოდენობა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

საქ. სსრ ს. კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. ნოემბრის 27. № 1557.

ტფილისი.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

199. დადგენილება ს.კ.ს.

მევირეობისა და მეჯორეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

„მევირეობისა და მეჯორეობის განვითარების სახელწიფო გეგმის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მაისის 22-ის თარიღის და 915 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ-ში მევირეობის 10 სასაქონლო ფერმა 100 სული დედა-ვირით და მეჯორეობის 20 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა 200 სული დედა-ჯორით, ამ ფერმების შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	ბევრეობის სასაქონლო ფერმების რაოდენობა	მათში დედა ვირების რაოდენობა	მეჯორეობის სასაქონლო ფერმების რაოდენობა	მათში დედა ჯორების რაოდენობა
1. ბოგდანოვკის	—	—	3	30
2. სილნალის	4	40	3	30
3. თელავის	1	10	1	10
4. ლაგოდეხის.	—	—	2	20
5. ყარაიის	1	10	2	20
6. ბორჩალოს	2	20	1	10
7. ლუქსემბურგის	—	—	1	10
8. ალბულახის	—	—	2	20
9. გურჯაანის	2	20	—	—
10. საგარეჯოს	—	—	1	10
11. ზუგდიდის	—	—	1	10
12. აფხაზეთის ასსრ . . .	—	—	3	30
სულ	10	100	20	200

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. ნოემბრის 26. № 1515.
ტფილისი.

ვეტერინარია

200. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1936 წლისთვის ზოოვეტერინარული ქსელის გეგმის დამტკიცების შესახებ.

„1936 წლისთვის ზოოვეტერინარული ქსელის გეგმის შესახებ“ გამოცემული, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1936 წლის მაისის 22-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას 1936 წლისათვის საქართველოს სსრ-ში შემდეგი ზოოვეტერიანარული ქსელი:

ა) ზოოპუნქტი—122, ბ) სავეტერინარო უბანი—126 და გ) სავეტერინარო-საფერშლო პუნქტი—76.

2. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული გეგმა ზოოვეტერიანარული ქსელისა 1936 წლისთვის (იხ. დანართი).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნევიჩი.**

1936 წ. ნოემბრის 27. № 1529.

ტფილისი.

ზოოვეტერიანარული ქსელი 1936 წლისთვის

რაიონები	ზოოპუნქტი	ვეტპუნქტი	ვეტუბანი
1. ახალქალაქის	5	3	2
2. ბოგდანოვკის	5	3	2
3. ახალციხის	1	2	1
4. ადიგენის	1	2	1
5. ასპინძის	1	2	1
6. ხაშურის	1	2	2
7. გორის	1	2	3
8. კასპის	1	2	1
9. ბორჯომის	1	2	1
10. გურჯაანის	3	3	2
11. სიღნაღის	7	4	4
12. თელავის	3	3	2
13. ყვარლის	2	2	2
14. ლაგოდეხის	1	2	1
15. ტფილისის	4	6	4
16. ყარაიის	2	2	1
17. ბორჩალოს	2	2	1
18. ლუქსემბურგის	1	1	1
19. წალკის	3	2	2
20. დუშეთის	3	2	3
21. ალბულახის	3	3	2
22. საგარეჯოს	2	4	1
23. ბაშკიჩეთის	4	3	2
24. თიანეთის	4	2	1
25. ყაზბეგის	3	1	2
26. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	6	5	2
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	70	67	47

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	ზოოპუნქტი	ვეტპუნქტი	ვეტუბანი
27. ქუთაისის	1	3	1
27. სამტრედიის	2	1	1
29. წულუკიძის	2	1	1
30. ვანის	1	2	1
32. ბაღდადის	1	1	1
32. ჯუღელის	1	2	—
33. ჩხარის	1	1	—
34. ჭიათურის	1	2	—
35. ორჯონიკიძის	1	1	—
36. ტყიბულის	2	1	—
37. ონის	2	2	1
38. ამბროლაურის	3	2	1
39. ცაგერის	1	2	1
40. ქვემო-სვანეთის	2	2	1
41. აბაშის	2	1	—
42. ცხაკაიას	1	2	1
43. გეგეჭკორის	2	1	1
44. ზუგდიდის	3	2	—
45. ხობის	1	1	—
46. წალენჯიხის	2	1	—
47. ჩხოროწყუს	2	1	—
48. მახარაძის	2	2	1
49. ლანჩხუთის	2	2	—
50. ჩოხატაურის	1	1	1
51. ზ/სვანეთის	2	3	1
52. ფოთის	1	1	—
53. აფხაზეთის ასსრ	3	9	11
54. აჭარის ასსრ	7	9	4
სულ დასავლეთ საქართველოში	52	59	20
მთლად რესპუბლიკაში	122	126	76

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება

201. დადგენილება ს. კ. ს.

1936 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმის შესახებ.

„1936 წლის მოსავლის თამბაქოს და წეკოს დამზადების გეგმის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ნოემბრის 1-ლის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ში 1936 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმა დამტკიცებულ იქნას 14.500 ტონის რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ასსრ-ში—7.200 ტონის რაოდენობით.

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ-ში, უაფხაზეთოდ, თამბაქოს დამზადების გეგმის ამასთანავე დართული განაწილება თვეებზე, ასორტიმენტზე და რაიონებზე (იხ. დანართი).

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—3 დღის ვადაზე გაანაწილონ მათთვის დადგენილი გეგმები თამბაქოს დამზადებისა რაიონებზე და ასორტიმენტებზე და მიაწვდინონ გეგმები რაიონებამდე.

3. დაწესებულ იქნას, რომ თამბაქოს დამზადების გეგმად კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის არის მათი ვალდებულებები სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარებისა (მიყიდვისა) იმ რაოდენობით და იმ ასორტიმენტით, რაც შეპირებულია საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით, ხოლო რაიონებისათვის — კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების (მიყიდვის) იმ ვალდებულებათა ჯამი რაც შეპირობულია საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით.

განსხვავება ამა დადგენილებით განსაზღვრული დამზადების წლიურ გეგმასა და დაკონტრაქტებულ რაოდენობას შორის უნდა დაიფაროს იმ ზედმეტი თამბაქოს შესყიდვით, რაც დაჰრჩებათ კონტრაქტანტებს იმის შემდეგ, როდესაც ისინი შეასრულებენ სავსებით თავიანთ ვალდებულებათ რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით, მათთვის 1935 წელს მოქმედი პრემია-ზედნართების მიცემით.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე მეთამბაქოეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ თამბაქოს დამუშავება დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, აგრეთვე უზრუნველყონ, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებები ყოველდღიურ ინსტრუქტაჟს უწევდნენ ამ საქმეს მოსავლის მერმინდელი დამუშავების მთელ პერიოდში.

5. საქართველოს სსრ სა და აფხაზეთის ასსრ-ში თამბაქოს დამზადების დამთავრების ზღვრულ ვადად დაინიშნოს 1937 წლის მარტის 15.

6. დაწესებულ იქნას, რომ „საქნედლთამბაქო“ და „აფთამბაქო“ თამბაქოს დამზადებას ახორციელებენ თავიანთ დამმზადებელ პუნქტებში და უსწორებენ ანგარიშს ჩამბარებლებს თვითეული მიღებული ნედლი თამბაქოს პარტიისათვის არა უგვიანეს 24 საათისა თამბაქოს მიზიდვის მომენტიდან.

7. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—მოაწყონ კოლექტიურ მეურნეობებში შეგროვილი ნედლი თამბაქოს აღრიცხვა და შენახვა და მოქმედი სტანდარტის შესაბამისად თამბაქოს დამუშავება და დამმზადებელი პუნქტებისათვის ჩაბარება საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებზე; ამასთანავე, არ უნდა გააგზავნინონ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს დამმზადებელ პუნქტებში ისეთი თამბაქო, რომელიც სტანდარტის მიხედვით არ არის დამუშავებული.

8. დაევალოს „საქნედლთამბაქოს“ და „აფთამბაქოს“:

ა) დაამყარონ კონტრაქტააციის ანგარიშში მიღებული თამბაქოს და შემსყიდვის ანგარიშში მიღებული თამბაქოს ცალცალკე აღრიცხვა, აგრეთვე ასორტიმენტის მიხედვითაც;

ბ) უზრუნველყონ მიღებული ნედლი თამბაქოს წესიერი ხარისხობრივი შეფასება და ანგარიშის გასწორება სტანდარტით დადგენილი კონდიციის სრული შესაბამობით;

გ) უკეთუ დამმზადებელ პუნქტში მიტანილ იქნა ისეთი თამბაქო, რომელიც სტანდარტის მიხედვით არ არის დამუშავებული, შესაძლებლობა მისცენ ჩამბარებელს უფასოდ გამოიყენოს სასაწყობო ფართობი ჩასაბარებელი ნედლეულის გადასამუშავებლად თვით ჩამბარებლის ძალებითვე.

ამასთანავე, გაფრთხილებულ იქნან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და აგრეთვე მეთამბაქოეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, რომ მიმღებ პუნქტებში არასტანდარტული თამბაქოს გადამუშავებას არ უნდა ჰქონდეს მასობრივი ხასიათი და ასეთი გადამუშავება შეიძლება მხოლოდ როგორც გამონაკლისი შემთხვევა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აყენებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მეთამბაქოეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ამოცანას—თამბაქოს დამზადებისათვის ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობის დამყარებისა და მოსავლის მერმინდელი დამუშავებისათვის შრომის წესიერი ორგანიზაციის საფუძველზე მიაღწიონ როგორც თვიური, ისე წლიური გეგმების სავსებით და უცილობლად ასრულებას რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით და ამით უზრუნველყონ პირველობა აზოვ-შავიზღვის მხარესთან შეჯიბრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა საქართველოს სსრ-ში (უაფხაზეთოდ) თამბაქოს დამზადებისა, თვეების, რაიონების და ასორტიმენტის მიხედვით.

(ტონობით)

რ ი ო ნ ე ბ ი	1936 წ.			1937 წ.			ს უ ლ	
	ოქტომბ.	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვ.	მარტი	%%	რაოდენ.
ლაგოდეხის რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	5,0	7,0	10,0	6,0	0,8	28,0
2 „	—	3,0	30,0	40,0	50,0	27,5	4,3	150,5
3 „	7,0	30,0	200,0	250,0	150,0	42,0	19,4	679,0
4 „	28,0	402,0	600,0	548,0	470,0	261,7	65,99	2309.7
5 „	130,0	100,0	40,0	30,0	20,0	12,8	9,51	332,8
ს უ ლ	**165,0**	**535,0**	**875,0**	**875,0**	**700,0**	**350,0**	**100,0**	**3500,0**
სიღნაღის რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	1,0	2,0	2,0	1,2	0,5	6,2
2 „	—	2,0	8,0	11,0	11,7	3,0	2,9	35,7
3 „	1,0	7,0	50,0	60,0	30,0	11,9	13,0	159,9
4 „	19,0	117,0	218,0	225,0	197,3	104,3	71,6	880,6
5 „	50,0	50,0	30,0	10,0	5,0	2,6	12,0	147,6
ს უ ლ	**70,0**	**176,0**	**307,0**	**308,0**	**246,0**	**123,0**	**100,0**	**1230,0**
ყვარლის რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	0,3	0,3	0,3	0,2	0,3	1,1
2 „	—	0,4	0,6	1,0	2,0	0,4	1,2	4,4
3 „	—	1,0	4,0	7,0	4,5	2,0	5,0	18,5
4 „	2,0	35,5	80,1	80,7	64,5	32,4	79.8	295,3
5 „	13,0	22,0	7,0	4,0	2,7	2,0	13,7	50,7
ს უ ლ	**15,0**	**59,0**	**92,0**	**93,0**	**74,0**	**37,0**	**100,0**	**370,0**

გურჯაანის რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	—	0,1	0,1	0,1	0,2	0,3
2 „	—	—	—	0,4	0,4	0,4	0,8	1,2
3 „	—	0,5	1,5	1,1	1,0	1,0	3,4	5,1
4 „	2,0	13,5	33,5	33,4	26,5	12,7	81,0	121,6
5 „	6,0	9,0	2,0	2,0	2,0	0,8	14,6	21,8
ს უ ლ	**8,0**	**23,0**	**37,0**	**37,0**	**30,0**	**15,0**	**100,0**	**150,0**
ბორჩალოს რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	0,3	0,3	0,3	0,2	0,1	1,1
2 „	—	0,3	1,0	1,0	1,0	1,0	0,4	4,3
3 „	—	2,0	8,0	10,0	8,0	4,0	3,0	32,0
4 „	18,0	79,7	216,7	239,7	190,0	91,8	78,5	835,9
5 „	28,0	35,0	40,0	15,0	13,7	10,0	18,0	191,7
ს უ ლ	**46,0**	**167,0**	**266,0**	**266,0**	**213,0**	**107,0**	**100,0**	**106,5**
ლუქსემბურგის რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	—	—	—	—	—	—
2 „	—	—	—	0,2	—	—	0,2	0,2
3 „	—	—	—	0,5	0,5	0,5	1,5	1,5
4 „	—	7,0	22,0	23,3	18,5	9,1	79,85	79,9
5 „	5,0	8,0	3,0	1,0	1,0	0,4	18,45	18,4
ს უ ლ	**5,0**	**15,0**	**25,0**	**25,0**	**20,0**	**10,0**	**100,0**	**100,0**
ზუგდიდის რაიონი								
1 ხარისხ.	—	0,3	0.6	0,6	0,6	0,5	2,0	2,6
2 „	—	1,0	2,0	3,0	1,0	1,0	6,18	8,0
3 „	—	5,0	15,0	12,0	7,0	2,5	31,95	41,5
4 „	1,0	9,7	13,4	16,4	16,4	8,5	50,4	65,4
5 „	5,0	4,0	1,0	1,0	1,0	0,5	9,47	12,5
ს უ ლ	**6,0**	**20,0**	**32,0**	**33,0**	**26,0**	**13,0**	**100,0**	**130,0**
წალენჯიხის რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	—	0,3	0,3	0,1	1,5	0,7
2 „	—	—	0,2	1,0	1,0	0,2	5,3	2,4
3 „	—	2,0	3,0	4.0	1,2	1,0	24.9	11,2
4 „	1,0	4.0	6,8	5,2	6.0	3.3	58,6	26,3
5 „	1,0	1,0	1,0	0,5	0,5	0,4	9,7	4.4
ს უ ლ	**2,0**	**7,0**	**11,0**	**11,0**	**9,0**	**5,0**	**100,0**	**45,0**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	1936 წ.			1937 წ.			სულ	
	ოქტომბ.	ნოემბერ.	დეკემბერ.	იანვარი	თებერვ.	მარტი	%%	რაოდენ.
ჩხოროწყუს რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	—	0,5	0,4	0.4	2,04	1,3
2 „	—	—	1,0	1,0	1,0	1,0	6,12	4,0
3 „	—	4,0	6,0	7,0	2,0	1,8	32,02	20,8
4 „	1,0	4,0	8,0	7,0	9,2	3,6	50,4	32,8
5 „	2,0	2,0	1,0	0,5	0,4	0,2	9,42	6.1
სულ	**3,0**	**10,0**	**16,0**	**16,0**	**13,0**	**7,0**	**100,0**	**65,0**
ჩოხატაურის რაიონი								
1 ხარისხ.	—	—	—	1,0	0,8	0,4	1,5	2,2
2 „	—	—	1,7	3,0	2,0	1,0	5,3	7,7
3 „	—	6,0	12,0	12,0	4,0	2,2	25,0	36,2
4 „	2,0	12,0	19,3	18,5	21,2	10,8	57,77	83,8
5 „	3,0	6,0	3,0	1,5	1,0	0,6	10.43	15,1
სულ	**5,0**	**24,0**	**56,0**	**35,0**	**29,0**	**15,0**	**100,0**	**145,0**
აჭარის ასსრ								
1 ხარისხ.	—	—	1,0	3,0	2,6	1,0	1,5	7,6
2 „	—	3,5	8,0	10,0	10,0	5,6	7,4	37,1
3 „	—	50,0	40,0	40,0	20,0	12,3	32,5	162,3
4 „	5,0	9,5	68,0	67,0	64,4	29,4	48,6	243,0
5 „	20,0	12,0	8,0	5,0	3,0	2,0	10,0	50,0
სულ	**25,0**	**75,0**	**125,0**	**125,0**	**100,0**	**50,0**	**100,0**	**500,0**
სულ საქართველოში (უაფხაზეთოდ)								
1 ხარისხ.	—	0,3	8,2	15,1	17,4	10,1	0,7	51,1
2 „	—	10,2	52,5	71,6	80,1	41,1	3,5	255,5
3 „	8,0	107,5	339,5	403,6	228,2	81,2	16,0	1168,0
4 „	79,0	694,0	1285,8	1264,2	1084,0	567,3	68,3	4974,3
5 „	263,0	299,0	136,0	70,5	50,3	32,3	11,5	851,1
სულ	**350,0**	**1111,0**	**1822,0**	**1925,0**	**1460,0**	**732,0**	**100,0**	**7300,0**
	4,8	**15,2**	**25,0**	**25,0**	**20,0**	**10,0**	**100,0**	

ამასთანავე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აფრთხილებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და მეთამბაქოეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ თამბაქოს ჩაბარების და შესყიდვის როგორც თვიური, ისე წლიური გეგმების შესრულება ჩაითვლება ამად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გეგმა შესრულებული იქნება არა მარტო რაოდენობით, არამედ აგრეთვე ასორტიმენტითაც.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი**

1936 წ. დეკემბრის 8. № 1620.

ტფილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

202. დადგენილება ს.კ.ს.

„საქავტოტრესტის“ ავტო-ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ხელბარგის გადაზიდვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

„საქავტოტრესტის“ სამგზავრო ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ხელბარგის გადაზიდვის წესების დარღვევასთან ბრძოლისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უბილეთო მგზავრი, რომელიც აღმოჩენილ იქნება „საქავტოტრესტის“ ავტომობილში, მოვალეა გადაიხადოს ჯარიმა ავტომობილის მსვლელობის დასაწყისი პუნქტიდან უახლოეს გასაჩერებელ პუნქტამდე გადაყვანის ღირებულების სამჯერადი რაოდენობით (ხოლო არა უმეტეს ასი მანეთისა) და აიღოს ბილეთი შემდგომი მგზავრობისათვის.

2. ის მგზავრი, რომელსაც აღმოაჩნდება „საქავტოტრესტის“ ავტომობილში 5 კილოგრამზე მეტი ხელბარგი ან ისეთი საგნები, რაც ხელბარგად არ ჩაითვლება, მოვალეა გადაიხადოს ჯარიმა ავტომობილის მსვლელობის დასაწყისი პუნქტიდან უახლოეს გასაჩერებელ პუნქტამდე მთელი ხელბარგის ან საგნების გადაზიდვის ღირებულების სამჯერადი რაოდენობით (ხოლო არა უმეტეს ასი მანეთისა) და ჩააბაროს ხელბარგი ან საგნები ბაგაჟში გადაზიდვის გამოსაღების გადახდით.

3. უკეთუ მგზავრს აღმოაჩნდება ისეთი საგნები, რის გადაზიდვაც ნებადართული არ არის, იგი მოვალეა გადაიხადოს ჯარიმა 25 მან. რაოდენობით და მოაშოროს ავტომობილს ეს საგნები მათი აღმოჩენის ადგილზევე.

4. ჯარიმას ამა დადგენილების დარღვევისათვის დაადებს „საქავტოტრესტის“ კონტროლიორი ან სხვა პირი, რომელიც „საქავტოტრესტის“ მიერ უფლებამოსილია კონტროლის გასაწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ჯარიმის გადახდისას მგზავრს მიეცემა დადგენილი ფორმის ქვითარი.

6. უკეთუ მგზავრი უარს იტყვის ადგილობრივ ჯარიმის გადახდაზე, იგი უახლოეს გასაჩერებელ პუნქტზე უნდა ჩამოსვან ავტომობილიდან, ხოლო დარღვევისა და ჯარიმის გადახდაზე უარის თქმის შესახებ შედგენილ უნდა იქნას აქტი, რომელშიაც აღინიშნება დადგენილების დამრღვევის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.

აქტი გაიგზავნება გადასახდელის დასადებად ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით დადგენილი წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

აქტის ასლი ეძლევა დადგენილების დამრღვევს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. ყურულოვი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. ვ. ლუნკევიჩი.

1936 ნოემბრის 27. № 1544.
ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

203. დადგენილება ს.კ.ს.

დაწესებულებების, წამოწყებებისა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებისათვის სახლების განკუთვნის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუნიციპალიზებული და ნაციონალიზებული ფონდის სახლები შეიძლება გადაეცეს სარგებლობად დაწესებულებებს, წამოწყებებს და ორგანიზაციებს ვადიანი საიჯარო ხელშეკრულებების თანახმად ან განუსაზღვრელი ვადით განკუთვნის შესახები სპეციალური დადგენილების თანახმად.

განკუთვნის შესახები დადგენილების წესით გაცემული სახლები არ გამოირიცხება მუნიციპალური საბინაო ფონდიდან და ამიტომ ეს სახლები არ შეიძლება ჩაირიცხოს მათ მოსარგებლეთა ძირითად ფონდში.

2. სახლების განკუთვნა მოხდება:

ა) საქალაქო საბჭოების ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით—მუნიციპალიზებული სახლების მიმართ;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით—ნაციონალიზებული სახლების მიმართ.

3. განკუთვნის შესახები დადგენილებებით შეიძლება გადაეცეს შემდეგი სახლები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) არასაცხოვრებელი სახლები, აგებული ან მიმარჯვებული სპეციალური დანიშნულებისათვის, ი ოგორიცაა: სასკოლო და საავადმყოფო შენობები, უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, ბანკები, მუზეუმები, თეატრები, წითელი არმიის სახლები, გლეხის სახლები, შრომის სასახლეები, სასამართლო დაწესებულებათა შენობები, სახალხო კომისარიატთა და სათანადო ცენტრალურ უწყებათა შენობები;

ბ) საცხოვრებელი სახლები, აგებული ან მიმარჯვებული საერთო-საცხოვრებლად (სტუდენტებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა შედგენილობისა, მუშათა და გლეხთა მილიციისა, შრომა-გასწორების დაწესებულებათა თანამშრომლებისა და სხვ.);

გ) სხვა სახლები, რომელთა დაწესებულებებისა, წამოწყებებისა და ორგანიზაციებისათვის განკუთვნის შესახებ გამოტანილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილება.

შენიშვნა. სახლმეურნეობის დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად განკუთვნის შესახები დადგენილებით შეიძლება გადაიცეს მხოლოდ ყველა შენობა, რაც ერთ მიწის ნაკვეთზეა.

4. განკუთვნილი სახლები ჩამოირთმევა განმკუთვნელი ორგანოს დადგენილებით:

ა) უკეთუ ის საჭიროება აღარ არსებობს, რისთვისაც განკუთვნილი იყო სახლი;

ბ) უკეთუ დაწესებულება, წამოწყება ან ორგანიზაცია სახლის ფართობის 25%-ზე მეტს იყენებს არა იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო სახლი;

გ) უკეთუ განკუთვნილი სახლის ფართობის 25%-ზე მეტი დასახლებულია ისეთი მდგმურებით, რომელთაც დამოკიდებულება არა აქვთ სახლის იმ მოსარგებლესთან, ვისთვისაც განკუთვნილი იყო სახლი;

დ) უკეთუ განკუთვნილი სახლმფლობელობის მართვა-პატრონობა უთადარიგოდ სწარმოებს.

5. სახლმფლობელობას გადასცემს მოსარგებლეს, რომლისთვისაც იგია განკუთვნილი, საბინაო-კომუნალური ორგანო ხელშეკრულობით, სადაც განისაზღვრება განკუთვნილი სახლის სარგებლობის და შენახვის პირობები, აგრეთვე აღინიშნება საჭირო ცნობები სახლმფლობელობის შესახებ.

6. განკუთვნილ სახლებში დაცულ უნდა იქნას საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის ქირისა და გამოყენების მოქმედი ნორმები; განკუთვნილ სახლებზე ვრცელდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 14-ის დადგენილება „სამეურნეო-სამეთვალყურო კომიტეტების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-4 №-ი, მუხ. 26) და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია, ამ დადგენილების საფუძველზე შემუშავებული.

7. განკუთვნილი სახლის გამოყენებისა და შენახვის პირობების ხელშეკ-
კრულებაში აუცილებლად განისაზღვრება განკუთვნილი სახლის მოსარგებლის
შემდეგი მოვალეობანი:

ა) გამოიყენოს სახლი მისი დანიშნულების შესაბამისად; შეინახოს სახლი
თავის ხარჯზე სრული წესივრულობით; აწარმოოს სახლის კაპიტალური და
მიმდინარე რემონტი იმ მოცულობით და იმ ვადაზე, რაც ხელშეკრულებაშია აღ-
ნიშნული; დააზღვიოს სახლი და შეასრულოს ყველა ის მოვალეობა, რაც ეკის-
რება სახლმფლობელობას კანონით და ადგილობრივი საბჭოების ან სარაიონო
აღმასრულებელი კომიტეტების სავალდებულო დადგენილებებით;

ბ) შეიტანოს ადგილობრივ ბიუჯეტში სახლის სარგებლობის ქირა საამორ-
ტიზაციო ანარიცხის რაოდენობით—ქვის შენობის საინვენტარიზაციო შეფა-
სების 0,5% წელიწადში და ხის და შერეული შენობისა—1% წელიწადში;

გ) გადარიცხოს ხოლმე ადგილობრივ ბიუჯეტში ის საიჯარო ქირა, რასაც
განკუთვნილი სახლის მოსარგებლე იღებს იჯარით გაცემულ არასაცხოვრებელ
სადგომებში;

დ) უკეთუ განკუთვნილი სახლი ჩამოერთვა, ჩააბაროს იგი სრული წესივ-
რულობით სათანადო საბინაო-კომუნალურ ორგანოს; ამასთანავე, ხელშეკრუ-
ლებაში აღნიშნულ უნდა იქნას, რა მდგომარეობაშია ჩაბარებული სახლი;

ე) უკეთუ სახლი მოუვლელია (კერძოდ, საჭირო კაპიტალური და მიმდინარე
რემონტის უქონლობა), აუნაზღაუროს საბინაო-კომუნალურ ორგანოს იმ სარე-
მონტო სამუშაოების ღირებულება, რაც საჭიროა სახლის წესივრული მდგომა-
რეობის აღდგენისათვის.

8. უმაღლესი სასწავლებლები, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები, სტუ-
დენტთა საერთო საცხოვრებლები, სკოლები და საავადმყოფოები, სამხედრო
უწყების ორგანოები, მუშათა და გლეხთა მილიციისა და შინაგან საქმეთა სა-
ხალხო კომისარიატის ორგანოები განთავისუფლდებიან ადგილობრივ ბიუჯეტ-
ში საამორტიზაციო ანარიცხის შეტანისაგან.

9. საბინაო-კომუნალურ ორგანოებს უფლება აქვთ კონტროლი გაუწიონ განკ-
უთვნილი სახლების დანიშნულებისამებრ გამოყენებას და აგრეთვე იმას, რომ
სახლის მოსარგებლე ასრულებდეს ყველა იმ მოვალეობას, რაც მას დაკისრებული
აქვს ამა დადგენილებით.

10. დაწესებულებას, წამოწყებას ან ორგანიზაციას უფლება აქვს ჩაასახ-
ლოს განკუთვნილ სახლში მხოლოდ ის პირნი, ვინც შრომის ურთიერთობით
დაკავშირებულია სახლის მოსარგებლესთან.

უკეთუ შრომითი კავშირი მოისპო, ეს მდგომარეობა შეიძლება გამოსახლებულ
იქნას მათთვის მიჩენილი სადგომებიდან თანახმად მოქმედი კანონებისა იმ მოქა-
ლაქეთა გამოსახლებასა და გადასახლებაზე, რომელთაც დაკარგეს სამსახურებ-
რივი კავშირი დაწესებულებასთან, წამოწყებასთან და ორგანიზაციასთან.

11. ამ დადგენილების გამოცემამდე დაწესებულებებისა და ორგანიზაციე-
ბისათვის განკუთვნილი სახლები ჩაითვალოს ამა კანონის თანახმად განკუთვ-
ნილ სახლებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. წინადადება მეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—დაავალოს საბინაო-კომუნალურ ორგანოებს—შეამოწმონ 1936 წლის განმავლობაში განკუთვნილი სახლების საბინაო ფონდის მდგომარეობა, შეიტანონ ეს სახლები სიებში, შეადგინონ აქტები მათი მდგომარეობისა და ექსპლოატაციის შესახებ და, უკეთუ აღმოჩნდება განკუთვნილი სახლების ჩამორთმევის საფუძვლები, რაც მე-4 მუხლშია ჩამოთვლილი, აღძრან სახლების განმკუთვნელ ორგანოების წინაშე ამ სახლების ჩამორთმევის საკითხი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. ნოემბრის 27. № 1568.

ტფილისი.

სახელმწიფო დაზღვევა

204. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 33 მუხლის გაუქმების შესახებ.

„ხანძრისა და საქონლის გაწყდომის წინასწარ აღკვეთისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათათვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადიდან ანარიცხების გადადების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. სექტემბრის 27-ის თარიღის და 74/724 №-ის დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 50 №-ი, მუხ. 407), საქართველოს სსრ საახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

33 მუხლი 1934 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 24 №-ი, მუხ. 192; 1936 წ. მე-20 №-ი, მუხ. 119) გაუქმებულ იქნას 1937 წ. იანვრის 1-დან.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. ნოემბრის 27. № 1547.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ, ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝᲑᲐ

205. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს.Კ.Ს.

„გვარისა და სახელის გამოცვლის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების (საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 122 მუხლის დანართი) მე-2, 5, 6, 7 და 9 მუხლების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„გვარისა და სახელის გამოცვლის წესის შესახებ“, 1930 წ. ივლისის 17-ის დადგენილების (საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 122 მუხლის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 223) მე-2 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-11 №-ი, მუხ. 112) და 5, 6, 7 და 9 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„2-ის პირი, ვისაც ჰსურს გამოიცვალოს გვარი (შთამავლობითი სახელწოდება) ან სახელი, შეიტანს განცხადებას სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოსთან არსებულ, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სათანადო ორგანოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

„5. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო, მიიღებს-რა განცხადებას, მოახდენს ამაზე, გამცხადებლის ხარჯით, პუბლიკაციას ოფიციალურ რესპუბლიკურ და ადგილობრივ (უკეთუ იგი არსებობს) გაზეთში და აგრეთვე შეეკითხება სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის ორგანოებს და სისხლის სამართლის წესით ნასამართლეობის სიების მწარმოებელ ორგანოებს—იმის გამოსარკვევად, ხომ არა აქვთ მათ რაიმე საკომპრომენტაციო მასალა, რაც ხელს უშლიდეს უწყებული პირის გვარის ან სახელის გამოცვლას.

ასეთი შეკითხვა გაიგზავნება როგორც გამცხადებლის საცხოვრებელ ადგილას, ისე იმ ადგილას, სადაც უწყებული პირი ცხოვრობდა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

შენიშვნა. ამ შეკითხვაში უნდა აღინიშნოს, რომ პასუხის მიუღებლობა ერთი თვის ვადაზე იგულისხმება როგორც იმის მაჩვენებელი, რომ საკომპრომენტაციო ცნობები არ არის“.

„6. გვარის ან სახელის გამოცვლის ნებართვა გაიცემა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით იმ მასალების თანახმად, რასაც წარადგენს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო წინა მუხლში აღნიშნულ მოთხოვნათა ასრულებისას და პუბლიკაციის შემდეგ ორი თვის გასვლისას, უკეთუ დაწესებულებანი და მესამე პირნი საწინააღმდეგოს არას განაცხადებენ“.

„7. გვარის ან სახელის გამოცვლაზე უარის თქმის ძირითად მიზეზად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის წესით ნასამართლეობის სიების მწარმოებელი ორგანოების ცნობების და მესამე პირთა პატივსადები პროტესტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი სათანადო ცენტრალური ორგანოების წარდგენით, ნება არ დართვან მთხოვნელს მიითვისოს ესა თუ ის გვარი".

„**9.** გვარისა თუ სახელის გამოცვლაზე ნებართვის მიცემის შემდეგ ახალ გვარს თუ სახელს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო შეიტანს უწყებული პირის მოქალაქობრივი მდგომარეობის ყველა აქტში და აცნობებს სათანადო სამხედრო-საალრიცხვო ორგანოს, უკეთუ გვარის ან სახელის გამომცვლელი პირი სამხედრო სამსახურშია, ან სამხედროვალდებულია, ანდა წვევამდელი. გვარის თუ სახელის გამოცვლას გვარის თუ სახელის გამომცვლელის სხვა დოკუმენტებში შეიტანს სათანადო დაწესებულება დაინტერესებული პირის მიერ გვარის ან სახელის გამოცვლის შესახები მოწმობის წარდგენისას".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი**

1936 წ. ნოემბრის 27. № 1549.

ტფილისი.

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

206. დადგენილება ს.კ.ს.

ქ. მოსკოვში საქართველოს ხელოვნების დეკადის ჩატარებაში მონაწილეთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისულებულ იქნან სამუშაოდან 1936 წლის 15 დეკემბრიდან ქ. მოსკოვში საქართველოს ხელოვნების დეკადის ჩატარებაში მონაწილენი—თანამდებობისა და ხელფასის შენახვით.

2. დეკადის მონაწილე უმაღლესი და საშუალო სკოლების მოსწავლენი განთავსუფლებულ იქნას მეცადინეობისაგან 1936 წლის 15 დეკემბრიდან და საშუალება მიეცეთ მათ ჩააბარონ საგნები დეკადიდან დაბრუნების შემდეგ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. დეკემბრის 15. № 1674.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

207. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების თაობაზე გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილების „ა“ კარის 30 პუნქტის შეცვლის შესახებ, რომელი დოკუმენტებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეიცვალოს „ა“ კარის 30 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისა „იმ დოკუმენტებიs შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 35), და იგი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა ფულის გადასახდევინებლად: . . . . . .]

„30) „გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დებულების“ 91 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 121) მოწყობილი კომისიის გადაწყვეტილებას—გამონაგონისა, ტექნიკური და საორგანიზაციო გაუმჯობესებისათვის გამომგონებლის ან მისი მემკვიდრის დაჯილდოების შესახებ, აგრეთვე საწარმოსთან არსებული საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებას—საწარმოს მიერ ისეთი ტექნიკური და საორგანიზაციო გაუმჯობესების გამოყენებისათვის ჯილდოს რაოდენობისა და გადახდის წესის შესახებ, რომელზედაც საავტორო მოწმობა არ გაიცემა, უკეთუ წარდგენილ იქნება: ა) ასეთი სათანადო კომისიის გადაწყვეტილებისა გამონაგონის, ტექნიკური ან საორგანიზაციო გაუმჯობესებისათვის დაჯილდოებისშესახებ; ბ) ასეთი სათანადო სამეურნეო ორგანოს დადგენილებისა (მე-4 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილებისა „გამომგონებლობის და რაციონალიზაციის სფეროში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“—საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 34 №-ი, მუხ, 211) ამ წინადადების სარგებლიანობის აღიარების შესახებ“.

საქ. სსრ ს. კ. სოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. დეკემბრის 13. № 1664.

ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1937 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	3
3	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	5
4	ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს და ავტონომიური ოლქის საოლქო სამმართველოებს	2
5	ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.	3
6	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
7	სასოფლო საბჭოებს	1
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	10
9	ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს და ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	საქართველოს სსრ პროკურატურას	5
12	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის პროკურატურებს.	3
13	სარაიონო პროკურორებს	1
14	სახალხო გამომძიებლებს	1

37-51

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1937 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე— 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე— 5 მან.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 67. პ/მ. რედაქტორი ვ. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1¼ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 1/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 16911 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 1230